ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 89

24 ივლისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე,ვახტანგ შაქარაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- თამარ მელიქიშვილი

კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობს ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო **დღის წესრიგი:**

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-01202051283) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032020577-03)

2. ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფითალითისთვის“ (ს/ნ: 405356001) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
3. ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის“ (ს/კ: 400189666) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
4. ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხულიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
5. “ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ჩიხი N4-ში, ნაკვეთი N01/175 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

6. “ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

7. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301.01.670) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

8. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

9. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

10. "ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.145.01.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

11. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუს N19-ში (ნაკვ. 07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029.01.015) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

12. "ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

13. ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ"ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

14. ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა #25ზ-ში (საკ/კოდი:01,11,17,005,006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

15. ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, N1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

16. ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-01202051283) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

ჭავაჭავაძის, ვეკუა-ხიზანიშვილის, ასევე ბარათაშვილის საფეხმავლო სივრცეების მასშტაბური კეთილმოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად, ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს „კეთილმოწყობითი საქალაქო ღონისძიებების" პროგრამის გაზრდას 600 000 ლარით, „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების ღონისძიებების" პროგრამაში თავისუფალი რესურსის გამოყენების ხარჯზე.

სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ითხოვს „სპორტული ღონისძიებების"პროგრამის გაზრდას 400 000 ლარით და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის" პროგრამის გაზრდას 150 000 ლარით.

მომხრე: 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის ინფრასტრქტურის და კულტურის,განათლების , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფითალითისთვის" (ს/ნ: 405356001) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.
მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

შპს „სანრაიზ ჰოსფითალითს" (ს/ნ: 405356001), იჯარით გადაეცემა ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N31-ში მდებარე 01.14.11.017.003.01.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 2027 წლის 1 აპრილამდე ვადით.

წლიური საიჯარო ქირაა 1730 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2027 წლის 1 აპრილამდე პერიოდი.
მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის" (ს/კ: 400189666) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე
მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

შპს „ბერნინის" (ს/კ: 400189666) იჯარით გადაეცემა, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 5400 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2021 წლის 23 მაისამდე პერიოდი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხულიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

ნელი მუხულიშვილს (პ/ნ: 13001012540) იჯარით გადაეცემა კოტე აფხაზის ქუჩა N17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.040) ღია კაფეს განთავსებისათვის. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.038.002.01.001გ) უძრავი ქონება. წლიური საიჯარო ქირაა 2340 ლარი, იჯარის მოქმდებეის ვადად განისაზღვრა 5 წელი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ჩიხი N4-ში, ნაკვეთი N01/175 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

სამგორის რაიონის შუამდგომლობით, თბილისში, ქინძმარაულის ჩიხი N4-ში, ნაკვეთი N01/175 მე-2 სართულზე მდებარე 45.22 კვ.მ ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.19.33.001.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაეცემა მოქალაქე მანანა ჯვარშეიშვილს (პ/ნ 01033004842) საკუთრებაში.

შსს-ს წერილით დასტურდება, რომ მანანა ჯვარშეიშვილი 10 წელია მუდმივად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობს 2008 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, მოქ. სოფიო კაპანაძეს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა, თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008.01.525) მეორე სართულზე მდებარე 3,67 კვმ ფართი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხსენებელი: "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301.01.670) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1-ში, მე-4 სართულზე მდებარე 43.13 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.11.05.011.301.01.670) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინე მურჯიკნელს (პ/ნ 01019054418).

შსს-ს წერილით დასტურდება რომ მარინე მურჯიკნელი ოჯახთან ერთად 10 წელზე მეტია მუდმივად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმითა და გლდანის რაიონის გამგეობის წერილით დასტურდება რომ იგი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ გლდანის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N19.1143.1437 განკაგრულებით მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების 9 პირზე (9 ოჯახზე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, გარდა მარინე მურჯინკელისა. ვინაიდან, მთავრობის აღნიშნული განკარგულების გამოცემის დროისათვის მარინე მურჯიკნელის მიერ დაკავებული ფართი (01.11.05.011.301.01.670) წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში 1 სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.001) მდებარე 97,63 კვმ საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცემა გრიგოლ კლდიაშვილს (პ/ნ 01017027030) სიმბოლურ ფასად.მოქალაქე დიდი ხნიდ განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ (ნაკვეთი N04/139) (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 4 ოჯახს, კერძოდ, დალი სეხნიაშვილს (პ/ნ 01011069937), გულნარა მიქავას (პ/ნ 01011070405), ელისო ფარჯველიანს (პ/ნ 10001052608) და ლალი საღლიანს (პ/ნ 12001089145) - საერთო რაოდენობით ჯამში 382.76 კვ.მ. შსს-ს წერილით და მეზობლების ჩვენებით

დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები 2002-2005 წლებიდან დღემდე მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
საჯარო რეესტრში გულნარა მიქავასთან და მისი ოჯახის წევრთან დაკავშირებით მიმდინარეობს სარეგისტრაციო წარმოების საქმე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში რამოდენიმე მისამართზე. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა საკითის განხილვა გადაედოთ მომავალი კომისიის სხდომამდე საკითხის გარკვევამდე.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხის გადადება კომისიის მომდევნო სხდომისათვის.

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომისათვის.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.145.01.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისში, ქერჩის ქუჩა N12-ში მდებარე 32.24 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.11.05.029.145.01.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ფატი ბენიძეს(პ/ნ 55001011930).
შსს-ს წერილით და მეზობლების ჩვენებით დასტურდება რომ ფატი ბენიძე 2003 წლიდან ოჯახთან ერთად მუდმივად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუს N19-ში (ნაკვ. 07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029.01.015) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

სამგორის რაიონის გამგეობის წერილით წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუს N19-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს ყოფილი N635 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს - ანნა მარტაშვილს (პ/ნ: 01011072480) და ითხოვს აღნიშნული ფართის დაკანონებას. ამავე წერილით გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წინაშე აღნიშნული პირისათვის, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო-რაიონი, კორპუს N19-ში, მე-4 სართულზე მდებარე ბინა N15-ის (ფართი - 87.95 კვ.მ; საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.015) პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ანნა მარტაშვილი (პ/ნ: 01011072480) ამავე დროს არის N635 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, მის მიერ სრულად გადახდილია საპაიო შენატანი, თუმცა მისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ განხორციელებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების 2019 წლის 31 მაისის წერილით დასტურდება, რომ ანნა მარტაშვილი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 15 წელია, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებების თანახმად იგი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან დღემდე.
ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ანნა მარტაშვილს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუს N19-ში (ნაკვ. 07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029.01.015) მდებარე უძრავი ქონება.
მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"
მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

"ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელების თაობაზე, ასევე, მოწონებულ იქნა წარდგენილი ხელშეკრულების პირობები. შესაბამისად, სააგენტოს მიერ დაიწყო მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისთვის მოსამზადებელი პროცედურები.

ზემოაღნიშნული განკარგულებების გამოცემის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ განკარგულების დანართი N1-ის 66-ე პუნქტით განსაზღვრული კოოპერატივების წევრის - ელენე თავაძის (პ.ნ. 01022011370) პირადობის მოწმობა გაუქმდა მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო. მოქალაქემ მიმართა სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი პირადობის მოწმობის მიღების მოთხოვნით, თუმცა დაბადების მოწმობის სააქტო ჩანაწერის არარსებობის გამო, აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, რომლის მიღებაც დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ პერიოდთან.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქე ელენე თავაძემ სააგენტოში წარადგინა განცხადება, რომლითაც განმარტა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებს პირადობის მოწმობის მიღებას უახლოეს ვადაში. უარს აცხადებს აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მიღებაზე და თანახმაა ჩანაცვლდეს სხვა პირით და პირადობის მოწმობის მიღების შემდგომ, დაკმაყოფილდეს სხვა უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების გზით.
მუნიციპალიტეტის მიერ, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში, მნიშვნელოვანია, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდება და მხარეთა შორის ხელშეკრულების მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაფორმება, რათა, ასევე, მოკლე ვადაში იყოს შესაძლებელი ხელშეკრულების დადება კოოპერატივების წევრებსა და კომპანიას შორის. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, ელენე თავაძის მიერ

პირადობის მოწმობის აღების პროცესი შეფერხებულია გაურკვეველი ვადით, მისი მხრიდან პირადობის მოწმობის მოქმედების არარსებობის პირობებში, შეუძლებელი ხდება მხარეთა შორის დასადები ხელშეკრულებების გაფორმება, რაც გაურკვეველი ვადით აფერხებს მიმდინარე პროექტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N20.798.997 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 24 ივნისის N20.556.825 განკარგულების დანართი N1-ის 66-ე პუნქტში განხორციელდა ცვლილება და ელენე თავაძე ჩანაცვლდა სხვა პირით, რომელიც აკმაყოფილებს „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით გათვალისწინებულ რიგითობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ'' ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ''ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები და დამატებები შედის ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ ხელშეკრულებაში, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებული ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ'' ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N20.799.996 განკარგულების დანართის შესაბამისად.

შესაბამისად , ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ'' ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრების შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა თამარ მელიქიშვილმა.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა #25ზ-ში (საკ/კოდი:01,11,17,005,006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის #20,600,741 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ 7პირს(ოჯახს), სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემათ აღნიშნულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი ფართი- საერთო ჯამში 393,79 კვმ . წარმოდგენილია გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა და შსს წერილი ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, N1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფის" (ს/ნ: 400131905) დირექტორმა, განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ-ში მდებარე 1,087 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.08.006.189) მონაცვლეობის საკითხზე. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მაღალი განაშენიანების ზონაში მდებარე ამ ნაკვეთზე კომპანია გეგმავდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რასაც მოჰყვა მეზობელი კორპუსების მაცხოვრებლების უარყოფითი რეაქცია, რის გამოც კომპანია ვერ ახერხებს სამშენებლო გეგმის განხორციელებას. კომპანიამ ითხოვა აღნიშნული ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება და სანაცვლოდ სხვა მიწის ნაკვეთის გადაცემა, კომპანიის შემდგომი საქმიანობის გაგრძელების მიზნით. თბილისის მერიაში დამატებით წარმოდგენილი განცხადებით , კომპანიის დირექტორმა ითხოვა ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, N1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.05.013.208), რომლის გადაცემის შემთხვევაში, მისი შემდგომი განვითარებისას კომპანია გაითვალისწინებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების პოზიციას და მათ მოთხოვნებს.
სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი საბურთალოს რაიონის გამგეობის 27.03.20წ. N31-01200871513 წერილით დასტურდება მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგობრივი პოზიცია კომპანიის მიერ განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. გამგეობის წერილის თანახმად, მოსახლეობამ არაერთხელ გამართა აქციები და მიმართა სხვადასხვა სამსახურს მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით. კომპანიის მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით სააგენტოს წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 08.04.20წ. N18-0120099308 წერილობითი პოზიციაც. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ ტერიტორიაზე შემდგომში მოეწყოს პარკი და გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა 2. ნაცვლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა.
მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. 08.06.20წ. N003120920 ექსპერტიზის დასკვნით, 01.11.05.013.208 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,008,176 ლარის ოდენობით. 03.07.20წ. N003722420 ექსპერტიზის დასკვნით, 01.10.08.006.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, შეფასდა როგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი და მისი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 3 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა 831,555 ლარის ოდენობით.
განკარგულების პროექტით განიხილება ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის თხოვნის დაკმაყოფილება და 01.11.05.013.208 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის გადაცემა, 01.10.08.006.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, ამ ნაკვეთზე განთავსებული ნაგებობების კომპანიის მხრიდან დემონტაჟის პირობით. ხოლო, საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნებში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.
საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვებზე, მათ დაწვრილებით განემარტათ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი

ლაშა ადუაშვილმა (პ/ნ: 01013022892), მალხაზ გურციევმა (პ/ნ: 01034002349) და შპს „ოცნების სახლის" (ს/ნ: 406124536) დირექტორმა, გოჩა კალანდაძემ განცხადებით ერთობლივად მიმართეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას. აღნიშნულ პირებმა განცხადებით მოითხოვეს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, N180 სკოლის მიმდებარედ არსებული 1958 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.39.010.055) ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ეს უძრავი ქონება, სხვა 633 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.19.20.002.084) ერთად, 2017 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე თბილისის მუნიციპალიტეტმა თანასაკუთრებაში გადასცა ლაშა ადუაშვილს (პ/ნ: 01013022892) და ზაურბეგ გურციევს (პ/ნ: 01030045664). ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ საკუთრებაში გადმოეცა აღნიშნული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: 01.12.07.015.016; 01.12.07.015.033). ლაშა ადუაშვილის და ზაურბეგ გურციევის მიერ აღნიშნული ადგილმონაცვლეობა მოთხოვნილი იყო იმ არგუმენტაციით, რომ მათ კუთვნილ უძრავ ქონებაზე (ს/კ: 01.12.07.015.016 და 01.12.07.015.033) 2007 წელს მათთან შეუთანხმებლად მოეწყო ჯერ სპორტული მოედანი, ხოლო 2017 წელს - ბავშვთა გასართობი ატრაქციონები. აღნიშნულ პირთა განმარტებით, ეს ობიექტები განთავსდა შენობა-ნაგებობების ავარიულ სახურავზე, რაც საფრთხეს ქმნიდა ტერიტორიაზე მოთამაშე ბავშვებისთვის, ვინაიდან, ჩამონგრევა შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს. აღნიშნული თხოვნა დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და საკრებულოს გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა.
ახალი მონაცვლეობის მოთხოვნისას განცხადებაში, განმცხადებლები განმარტავენ, რომ შპს „ოცნების სახლს" არ ეძლევა მრავალფუნქციური კორპუსის მშენებლობის შესაძლებლობა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკოლის გამო, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მზად არის, მშენებლობისას უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვა. ამ გარემოების გამო განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ირღვევა მათი კანონიერი ინტერესები და არიან დაზარალებულები კომპანიასთან ერთად. შპს „ოცნების სახლის" დირექტორმა, გოჩა კალანდაძემ დამატებით მომართა განცხადებით და მოსანაცვლებლად ითხოვა ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.19.39.012.056), რომლის გადაცემის შემთხვევაში, მისი შემდგომი განვითარებისას გათვალისწინებული იქნება მერიის სამსახურების პოზიცია და მათი მოთხოვნები. განცხადებით ასევე წარმოდგენილია მალხაზ გურციევის და ლაშა ადუაშვილის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები 01.19.39.010.055 საკადასტრო ერთეულის მონაცვლეობის საკითხზე. კომპანიის დირექტორი ასევე აცხადებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების შემთხვევაში, სხვაობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს კომპანია გადაიხდის დამატებით. ხოლო, კომპანიის მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

განსახილველი მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. 01.19.39.010.055 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა 749 914 ლარის ოდენობით. ხოლო, 01.19.39.012.056 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 868 335 ლარის ოდენობით.

დაწვრილებითი განხილვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა „ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის საკითხი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია